პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩას მიენიჭოს დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

ბაძრის ქუჩა
ზინასტერის ქუჩა
ფაცი ხუნდაძის ქუჩა
ილორის ქუჩა
ბარბაშის ქუჩა
ქერჩის ქუჩა
1 : 10K

1 : 9455

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032535022**
თარიღი: **16/12/2025**

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლების მიერ, გეოგრაფიული ობიექტების გავრცელების არეალების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩაზე, სამისამართო რეესტრში აღრიცხული არაერთი საკადასტრო ერთეულის შემთხვევაში მისამართად განსაზღვრულია დავით სარაჯიშვილის გამზირი. სხვადასხვა პერიოდის აბრებზე ობიექტი დატანილია როგორც ქუჩის, ასევე გამზირის სახელწოდებით.

ქუჩის სახელდების სამართლებრივი დოკუმენტებისა და კომისიაში დაცული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ თბილისის მერის 1992 წლის #89 ბრძანებით, ხსენებული აქტის ჩანაწერით: " გლდანის ცენტრში არსებულ მონაკვეთს "გურამიშვილიდან" ქარხანა "ცენტროლიტამდე" ეწოდოს დავით სარაჯიშვილის სახელი." კომისიაში დაცული ენციკლოპედიური მასალებით ობიექტი ატარებს დავით სარაჯიშვილის ქუჩის სახელს. კომისია მიიჩნევს, რომ #89 ბრძანებაში გეოგრაფიული ობიექტის ტიპის შესახებ ჩანაწერის არარსებობა იწვევს იმ ინტერპრეტაციებს, რაც წარმოშობილია ქუჩასთან დაკავშირებით.

გეოგრაფიული ობიექტის პარამეტრებისა და გავრცელების არეალის გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიიჩნევს, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩას უნდა განესაზღვროს მართებული და შესაბამისი ობიექტის ტიპი და უნდა ეწოდოს დავით სარაჯიშვილის გამზირი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის დამუშავება თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532354**
თარიღი: **19/11/2025**

ადრესატი: საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი
მისამართი: , საქართველო, 0186, თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №4, +995 32 2 390180, +995 32 2 290505, services@archives.gov.ge

არქივის დირექტორს
მაკა კვარაცხელიას

ქალბატონო მაკა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში არსებული ინფორმაციით 1990 წელს ავჭალის გზატკეცილის ერთ ნაწილს ეწოდა დავით გურამიშვილის, მეორე ნაწილს კი დავით სარაჯიშვილის სახელი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი სახელდების აქტი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის ცენტრალური არქივი, საქართველო, 0186, თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №4, +995 32 2 390180, +995 32 2 290505, services@archives.gov.ge .

25 / ნოემბერი / 2025 წ.

KA011934046008425

№ **14/47718**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
- სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია -
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

2025 წლის 19 ნოემბრის N03-032532354 მომართვის პასუხად გეგზავნებათ, ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 19 ივნისის N89 ბრძანება, ქ. თბილისის ქუჩებისთვის სახელების მიკუთვნების შესახებ.
ხოლო, ავჭალის გზატკეცილისთვის დავით გურამიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ დოკუმენტის მოსაძიებლად, გთხოვთ დამატებით გვვაცნობოთ, დოკუმენტის გამცემი ავტორი დაწესებულება, დოკუმენტის სახეობა და გაცემის სავარაუდო წელი.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

არქივის დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაკა კვარაცხელია

ქალაქ თბილისის მერია

ბრძანება

19.06.92 № 89
(თარიღი)

ქ.თბილისის ქუჩებისათვის ვ.ჩერქეზიშვილის, აბუსერიძე-ტბელის, ო.თაქთაქიშვილის, ბ.ბურკიაშვილის, ს.წულაძის, გ.ორბელიანის, ა.ლოლობერიძის, ბ.პაიჭაძის, დ.სარაჯიშვილის, თ.ყორდანიას, ნ.მარის, ი.აბაშიძის, ლ.შარაშიძის და ს.ცინცაძის სახელების მიკუთვნების შესახებ

ქ.თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოსა და კულტურის სამმართველოს წინადადებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩულურეთის რაიონში მდებარე ბოჭორიძის ქუჩას ეწოდოს ვასილ ჩერქეზიშვილის სახელი.

ისნის რაიონში მდებარე მატროსოვის ქუჩას ეწოდოს აბუსერიძე-ტბელის, კომკავშირის ქუჩას-სერგო წულაძის, ბოგდან-ხმელნიცკის ქუჩას-ნიკო მარის სახელი.

ვაკის რაიონში მდებარე რიგის ქუჩას ეწოდოს ოთარ თაქთაქიშვილის, მცხეთის ქუჩის შესახვევს-ბესიკ ბურკიაშვილის, ბარნოვის ქუჩის მონაკვეთს მრგვალი ბაღიდან ვაკის პარკამდე ირაკლი აბაშიძის სახელი.

მთაწმინდის რაიონში მდებარე პარალელურ ქუჩას ეწოდოს თედო ყორდანიას სახელი, იაკობ ნიკოლაძის შესახვევს- ლუარსაბ შარაშიძის სახელი.

საბურთალოს რაიონში მდებარე ლუქსემბურგის ქუჩას ეწოდოს სულხან ცინცაძის სახელი.

ნაძალადევის რაიონში მდებარე ბაბუშკინის ქუჩას ეწოდოს ავთანდილ (ბასა) ლოლობერიძის სახელი.

დიდუბის რაიონში მდებარე ორახელაშვილის ქუჩას ეწოდოს ბორის პაიჭაძის სახელი.

გლდანის ცენტრში არსებულ მონაკვეთს "გურამიშვილიდან" ქარხანა "ცენტროლიტამდე" ეწოდოს დავით სარაჯიშვილის სახელი.

2. გაუქმებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1959 წლის 4 ნოემბრის №653, 1956 წლის 18 ივლისის №1479, 1957 წლის 22 მაისის № 190, 1958 წლის 9 აპრილის №1205, 1938 წლის 7 დეკემბრის №69, 1960 წლის 26 მარტის № 1057, 1954 წლის 20 იანვრის №46, 1941 წლის 1[illegible] თებერვლის № 4 დადგენილებები ბოჭორიძის, მატროსოვის, რიგის, მცხეთის ქუჩის შესახვევის, კომკავშირის, ბაბუშკინის, პარალელური ქუჩის, ბოგდან-ხმელნიცკის, ბარნოვის, ნიკოლაძის ქუჩის შესახვევისა და ლუქსემბურგის სახელების მიკუთვნების შესახებ.

3. დაევალოთ ჩულურეთის, ისნის, ვაკის, მთაწმინდის, ნაძალადევის, დიდუბისა და გლდანის რაიონების გამგეობებს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული ქუჩების მაჩვენებლების დამზადება.

4. ბრძანება დაეგზავნოთ ორგანიზაციებს თანდართული სიის მიხედვით და დაევალოთ, შეიტანონ სათანადო ცვლილებები დოკუმენტებში.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ ადმინისტრაციულ ინსპექციას, ჩოღურეთის, მთაწმინდის, ვაკის, ისნის, საბურთალოს, ნაძალადევის და დიდუბის რაიონების გამგეობებს.

ქ.თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ლითანიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032535033**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლების მიერ, გეოგრაფიული ობიექტების გავრცელების არეალების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩაზე, სამისამართო რეესტრში აღრიცხული არაერთი საკადასტრო ერთეულის შემთხვევაში მისამართად განსაზღვრულია დავით სარაჯიშვილის გამზირი. სხვადასხვა პერიოდის აბრებზე ობიექტი დატანილია როგორც ქუჩის, ასევე გამზირის სახელწოდებით.
გეოგრაფიული ობიექტის პარამეტრებისა და გავრცელების არეალის გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიიჩნევს, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩას უნდა განესაზღვროს მართებული და შესაბამისი ობიექტის ტიპი და უნდა ეწოდოს დავით სარაჯიშვილის გამზირი.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ დავით სარაჯიშვილის ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში დავით სარაჯიშვილის გამზირი) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი